წაგება “ოლიმპიისკის” კომპლექსში

მოსკოვი. სპორტკომპლექსი “ოლიმპიისკი”. 17 ნოემბერი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 3:0 (2:0).

“სპარტაკი” (მოსკოვი): დასაევი (ჩერჩესოვი), სოჩნოვი, პოზდნიაკოვი, სიდოროვი, ბუბნოვი, შავლო, კუზნეცოვი, მოროზოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი (კუჟლევი), აჯოევი.

“დინამო” (თბილისი): აბუსერიძე, კეტაშვილი, ჩივაძე, მახარაძე, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ჟორდანია), ცაავა (მესხი), შენგელია.

მსაჯი: ვლადიმერ კუზნეცოვი (ომსკი).

გააფრთხილეს: სიდოროვი და სულაქველიძე.

დუბლიორები – 4:1. თბილისელთაგან ბურტი გაიტანა ჩქარეულმა.

თბილისელთა პერსპექტივა ამ მატჩში არც ისე სახარბიელო იყო ორი მიზეზის გამო: “სპარტაკი” საერთოდ კარგად, სტაბილურად თამაშობს ამ ბოლო წლებში და დიდი ხანია საკმაოდ უხერხულ მეტოქედაც იქცა თბილისის “დინამოსთვის”. მას შემდეგ კი, რაც მატჩი “ოლიმპიისკის” კომპლექსში დაინიშნა, წარმატებით თამაშის შანსი კიდევ უფრო შემცირდა.

ეს ყველაფერი შეხვედრის პირველ წუთებშივე დადასტურდა. უკვე შეჩვეულ “მინდორზე” “სპარტაკს” აკლიმატიზაციისთვის დრო არ დაუკარგავს. მე–5 წუთზე გავრილოვის ზუსტი პასის შემდეგ შავლომ მასპინძლები დააწინაურა – 1:0. “დინამომ” სცადა საპასუხო იერიში, მაგრამ გუცაევი–მახარაძე–სულაქველიძის კომბინაცია მეათე წუთზე და კიდევ ერთი შეტევა ტაიმის მიწურულს გამონაკლისი გამოდგა.

მოსკოველთა იერიშებს უფრო სისტემატური ხასიათიც ჰქონდა და უფრო დახვეწილი და სახიფათოც იყო. 32–ე წუთზე სიდოროვ–ჩერენკოვის კომბინაციას მეორე გოლი მოჰყვა – 2:0.

მეორე ტაიმში სტუმრებმა ერთხანს სცადეს ინიციატივის ხელში ჩაგდება, მაგრამ უშედეგოდ. 64–ე წუთზე “სპარტაკის” მორიგი იერიში მესამე გოლით დასრულდა. ბურთი გაიტანა გავრილოვმა.

“ლელო”, 20 ნოემბერი, 1984 წ.